# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც — სამშაბათი, 21 მარტი 1900 წ. № 1078

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.



## სახალხო სადილობა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» სასარგებლოდ განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21. (ნ. 0—15)

წარსული წლების ჟურნალი „მოამბე“ გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—შვიდ-შვიდ მანეთად და 1896, 1897 და 1898 წ. წ.—ხუთ-ხუთ მანეთად. ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. „მოამბის“ ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала „Моамбе“.

ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. რონინაშვილის მიერ ნაანდერძევი

## ფოტოგრაფია

გადატანილ იქმნა ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში. (ნ. 0—32)


გამგეობა კავკასიის მეტრე-წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ ახალშენთა და თავშესაფართა საზოგადოებისა,

ამ საზოგადოების წესდების მე-16 §-ს თანახმად, უმორჩილეს სთხოვს წევრებს მობრძანდნენ

## საზოგადო კრებაზე,

რომელიც კვირას, 26 მარტს, ნაშუადღევის პირველ საათზე მოხდება ტფილისის სამოსამართლო პალატის სადგომში.

განსახილველია შემდეგი საქმები:

1, გამგეობის 1899 წლის მოქმედების ანგარიში.

2, 1899 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში.

3, გამასწორებელ ახალშენის 1899 წლის მოქმედების ანგარიში.

4, 1900 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

5. სარევიზიო კომისიის მოხსენება 1899 წლის ანგარიშისა და 1800 წლის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ.

6, საზოგადოების საპატიო წევრად არჩევა საქართველოს ეგზარხოსის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის ფლაბიანესი.

8, მოხსენება საზოგადოების წევრის ა. ი. მანთაშევის შემოწირულების შესახებ.

9, მოხსენება გ. გ. ჟურნიას მიერ ახალშენის დირექტორის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ.

შენიშვნა. საზოგადო კრება კანონიერად იქმნება ჩათვლილი, თუ 20 წევრი მაინც დაესწრო (საზოგადოების წესდების მე-17 პარაგრაფი). (3—6.—3)

## მთავრობის განკარგულებანი

თავ. მიხ. ნაკაშიძე დაინიშნა სააქციზო გადასახადთა ნაწილის მე-7 ოლქის უმცროს ტეხნიკოსად.

გუბ. სეკრეტ. მორთულაძე დაინიშნა ახალციხის სამაზრო მმართველობის საქმის მწარმოებლად.

მიხ. თხელიძე დაინიშნა ყაგიზმანის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის მოხელედ.

გადაყვანილი იქმნენ: მიხაილოვის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის მოხელე აკაკი ტყეშელაშვილი, ახალციხისა—იოანე ხანთაძე და ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების იოსებ დევიძე, მათგან; ტყეშელაშვილი ჭიათურის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში, ხანთაძე—ახალციხის და დევიძე მიხაილოვის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორებში.

## ახალი ამბავი

✦ გუშინ, 20 მარტს, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურებმა, ტფილისის გუბერნიის მმართველის ბ ნ სვეჩინისა და მაზრების მარშლების წინამძღოლობით ფიცი მიიღეს სიონის ტაძარში დადგენილის წეს-რიგით და შემდეგ შეიკრიბნენ „ტფილისის სობრანიის“ დარბაზში. ნაშუადღევის პირველ საათზე ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის ასრულებელმა გენ.-მაიორმა ივ. საგინაშვილმა გახსნა მორიგი კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა. კრებას თავდაპირველად მოხსენდა ტფილისის გუბერნატორის მიერ წარმოგზავნილი სია იმ თავადთა და აზნაურთა, რომელთაც, სხვადასხვა დანაშაულობის ჩადენისა გამო, კანონით აკრძალული აქვთ თავად-აზნაურობის კრებაში მონაწილეობის მიღება. შემდეგ თავმჯდომარემ სხდომა შესწყვიტა დღეს დილამდის.

✦ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელს გენ.-მაიორს ივ. საგინაშვილს დეპეშა მიუღია თავ. გ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკისაგან — აღარ მსურს კენჭი ვიყარო გუბერნიის მარშლის თანამდებობაზედაო.

✦ გუშინ მოხდა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კერძო კრება, რომელზედაც თათბირი ჰქონდათ მარშლების არჩევნებისა და კანდიდატების შესახებ.

✦ კვირას 19 მარტს, ტფილისის საოლქო სასამართლოს დარბაზში, იმავე სასამართლოს თავჯდომარის მ. მ. შარიგინის თავჯდომარეობით, შესდგა ტფილისის ნაფიც ვექილთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 37 ვექილი. კრებამ ამოირჩია ნაფიც ვექილთა კომისია: თავჯდომარედ—პ. ა. ოპოჩინინი, მის თანაშემწედ—ს. ვ. ჩემესოვი; წევრებად—გ. ს. ტერ-სტეფანოვი, ნ. ა. ქალანთაროვი, ვ. ი. ეგიაზაროვი, ა. მ. ქყონია, ს. ს. მელიქ-ადამოვი და მათ კანდიდატებად—რ. ი. ყარაბეგოვი, პ. ა. ქალანთაროვი, ვ. ნ. პახომოვი და ვ. ი. დროგნევიჩი.

✦ სახელმწიფო სათავად-მამულო ბანკის ამიერკავკასიის განყოფილებაში საჯარო ვაჭრობა იმ მამულებისა, რომელთა პატრონთ დროზედ არ შეუტანიათ ხვედრი გადასახადი, დანიშნულია ორ მაისს ტფილისში; ხოლო მეორე ვაჭრობა შესდგება 31 მაისს.

✦ 10 მარტს ხელმწიფე იმპერატრიცას მარიამ თეოდორეს ასულს წარუდგნენ: ეგერმეისტერი თავ. მელიქიშვილი, მე 9 კავალერიის დივიზიის მეორე ბრიგადის უფროსი თავ. ჭავჭავაძე და კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს წევრი სულთან-კრიმ-გირეი.

✦ გუშინ მტკვარში წყალმა იმატა $1^1/_2$ არშინით. ზოგიერთი დაბალი ადგილები რიყეზე წყალმა დაჰფარა. მადათოვის კუნძულზე ჩრდილოეთის მხრით წყალმა წაიტო მიწა სამი საჟენის სიგანეზე. წყალს წაუღია აგრეთვე ქალაქის ადგილის ნაჭერი ნავთის ქალაში რიყის მცხოვრებთა გადასარჩენად, თუ საჭიროებამ მოითხოვა, ყოველივე მზად არის.

✦ წუხანდელს საბჭოს კრებაზე მოხდა არჩევნები ქალაქის მდივნისა. კენჭი უყარეს ს. თ. ჰრელაშვილს და აირჩიეს 28 ხმით წინააღმდეგ 4-ისა.

✦ იმავე კრებაზე ქალაქის ლომბარდის გამგეს გამგეს თანამდებობაზე კენჭი უყარეს: ა. ს. ბალდასაროვს, კ. ასლამაზოვს ლევიცკის და გოზალოვს. არჩეულ იქმნა ასლამაზოვი.

✦ „ტფილ. ფურცლის“ სიტყვით, ალავერდის ქარხანაში საფრანგეთის კომპანიამ უკანასკნელ დროს მადნების მუშაობა შეწყვიტა, რითაც არევ-დარევა გამოიწვია მოსულ მუშებში. მუშაობის შეწყვეტამ ადგილობრივ მუშებზედაც იქონია გავლენა, თუმცა ფრანგები მოსულ მუშებს აძლევენ უპირატესობას და ადგილობრივ მუშებს აგრე რიგად არ იწვევენ სამუშაოთ.

მოსულებს აძლევენ დღეში 1—2 მ. 50 კაპეიკამდე, ადგილობრივებს კი მხოლოდ 40 კ.—1 მ. 20 კ.-მდე. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ოლქის ინჟენერმა. უმეტესი ნაწილი მუშებისა ქიათურაში წავიდა სამუშაოდ.

✦ ფინანსთა სამინისტროში მომხდარ თათბირზე **ქვა-ნახშირის მრეწველობის** შესახებ გამოცხადებულ იქმნა საერთო სურვილი, რომ მოწვეულ იქმნას კრება მეტალურგიულ მრეწველობის წარმომადგენელთა. ფინანსთა სამინისტრო თანაგრძნობით მოეპყრო საქმეს და და მოკლე ხანში მოიწვევს კრებას მეტალურგიის მრეწველთა, რომელმაც უნდა გამოსძებნოს საშუალებანი ხსენებულ მრეწველობის გაუმჯობესობისათვის.

✦ ამ დღეებში ტფილისის გამგეობას თათბირი ჰქონდა იმის შესახებ, რომ განთავისუფლებულ იქმნას ქ. ტფილისი **პოლიციის შესანახ ხარჯში** მონაწილეობის მიღებისაგანაო. ეს საქმე ამ დღეებში გამგეობამ განიხილა და დაადგინა გადიდოს ამ წელს პოლიციის შესანახად დამატებითი თანხა 4,020 მან. და, 6 დეკემბერს 1899 წ. უმაღლესად დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს აზრის თანახმად, პოლიციის შესანახი ხარჯი თან და თან იქნას გადიდებული 1900 წლიდან დაწყებული ვიდრე 1904 წლამდე და ამასთანავე, მიიღებს რა გამგეობა ყველა ქალაქიდან საჭირო ცნობებს, შუამდგომლობა აღძრას სათანადო მთავრობის წინაშე, რომ ქ. ტფილისი განთავისუფლებული იყოს პოლიციის შესანახ ხაჯში მონაწილეობის მიღებისაგან.

✦ ამ ჟამად აღძრულია კითხვა იმის შესახებ, რომ დაკლებულ იქმნას **ჯამი საკომისიო გადასახადისა**, რომელსაც იღებენ რკინის გზები ფასდადებული საქონლის გადაზიდვისათვის. საბოლოოთ ეს კითხვა გარდაწყდება შემოდგომაზე, რკინის გზების წარმომადგენელთა კრებაზე.

✦ რუსეთის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების შუამდგომლობის თანახმად, რკინის გზების მმართველობამ წარუდგინა რკინის გზების სატეხნიკო კომისიას კითხვა, თუ როგორ უნდა იქმნას გაუმჯობესებული **ხილის გადაზიდვა რკინის გზებით**. სხვათა შორის განზრახულია ყველა გზებზე იქონიონ ვაგონები, საგანგებოდ ხილის გადაზიდვისთვის მოწყობილი.

✦ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ მარტის მე-3 ნომერი. აი შინაარსი ამ ნომრისა: 1) „გიორგი წერეთლის დაკრძალვა“—ლექსი განდეგილისა; 2) „მზრუნავი დედა“—(ფრანგულიდან); 3) „მოტი-გეჯის აჯანყება“—თარგმანი ივ. მ—ნისა; 4) „პატარას“, (გადმოკეთებული) შ. მღვიმელისა; 5) „ვანო და ჩიტი“,—იაკობ გოგებაშვილისა; 6) „ფოფოს მასწავლებელი“ (პოლონიურიდან) ა. ყუმისთაველისა; 7) „მეურმე და მდინარე“, (იგავი) ი. ა—სი; 8) „ჩვენი გაზაფხულის სტუმრები“, ილიკოსი; 9) „პატარა მეცნიერნი“,—მ. დემურიასი; 10) „მარტი“—ლექსი დ. თომაშვილისა; 11) „ჰაერში ფრენა“, (ჰაერონავტიკა) III—ილიკოსი; 12) „მელო და ჯიბლიბო“, იაკობ გოგებაშვილისა; 13) „ფოსტის მარკები“—ა. ნა—ლისა; 14) „პატარა მკითხველების წერილები“, 15) წვრილმანი: ხალხური ლექსები, ანდაზები, გამოცანები, ლოოგოგრიფი, არითმეტიკული ამოცანა, შარადა, რებუსი და ახსნა.

# დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

20 მარტი

**პეტერბურგი.** 19 მარტს დიდი მთავარნი მიხეილ ნიკოლოოზის ძე და გიორგი მიხეილის ძე წავიდნენ რომს.

19 მარტს გაემგზავრა თავის მამულში, აიტოდორში, დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე მეუღლითა და შვილებითურთ.

**ბლუმფონტეინი.** 17 მარტს ცნხენოსანი შიკრიკი, კიმბერლეიდან მოსული, ამბობენ, რომ ბურების ჯარები სდგანან პაარდებერგთან იმ ადგილას, სადაც კრონიეს ბანაკი იყო. მსწრაფ მოძრავი რაზმები ბურებისა მივიდნენ მახლობელ ფერმანდნენ და განიზრახეს ცხენების წაყვანა. ცხენები საკვების უქონლობის გამო მინდორში იყვნენ გაშვებულნი.

რობერტსმა დეპეშა გაუგზავნა კრიუგერს, რომელშიც სამძიმარს უცხადებს ჟუბერის გარდაცვალების გამო. რობერტსი ქებით იხსენიებს რაინდულს მოქმედებას და მამაცობას გარდაცვალებულისას.

**კაპშტადტი**, 19 მარტს. მხედრობას გამოეცხადა, რომ ამიერიდან სახელწოდება: „ორანჟეს რესპუბლიკის რკინის გზები“ გაუქმებულია და შემდეგში იწოდება: „საიმპერიო რკინის გზათ“.

**კრონშტადტი**, 17 მარტს. როგორც იუწყებიან, გუშინ საღამოს გენერალი სმუტსი შეებრძოლა ინგლისელებს მაფელკოპთან ბრანდონტენის სამხრეთით. ბურებს ექვსი საათის განმავლობაში ინგლისელები პომწყვდეული ჰყავდათ. ბურები მამაცურად იბრძოდნენ; მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი მცირეა.

**მასერუ**, 17 მარტს. როგორც არმბობენ, შტეინი ლედი-ბრანდტში აპირებს გამგზავრებას, რათა გაამხნეოს ბურები და მოუწოდოს მათ წინაალმდეგობისთვის. ბურებს შორის გავრცელებულია ბევრი პროკლამაციები და სხვა-და-სხვა განცხადებები.

**კაპშტადტი.** 18 მარტს, სახადი და წითელა, რომელნიც გავრცელებულია ტყვეთა შორის, ბურებმა მოიტანეს პაარდებერგთან შდებარე ბანაკიდან. ტყვეები არ ემდურიან საჭმელ-სასმელს, რადგანაც იმავე წყალს სვამენ, რასაც ინგლისის ესკადრა. ადმირალმა და უფროსმა სამხედრო ექიმმა დაათვალიერეს გემები და ბრძანება გასცეს, რომ ის ავადმყოფი ტყვეები, რომელნიც ვერ აიტანენ მოგზაურობას, გადაყვანილ იქმნენ საგანგებო საავადმყოფოში ხმელეთზე; ამმსთანავე ნაბრძანებია, რომ ბევრი ავადმყოფი არ მოგროვდეს ერთად საავადმყოფოში.

**სიმონსტაუნი.** 18 მარტს. ტყვე ბურების გაგზავნა წმ. ელენეს კუნძულზედ გადვიდა, რადგანაც მათ შორის მეტად გავრცელდა ავადმყოფობა. დღეს მოკვდა სამი ტყვე სულ კი კვირის განმავლობაში—12; ხვალ აქ მოელიან კიდევ 200 ტყვეს.

**ლონდონი.** საღამოს გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ, რომ რობერტსის წინ წასვლისათვის ყოველივე მალე იქმნება დამზადებული, ასე რომ ჯარები მომავალ კვირეებში დაიძრებიან. პრეტორიიდან იტყობინებიან, რომ ამ მოკლე ხანში მოხდება არჩევანები ტრანსვაალის ვიცე-პრეზიდენტის ჟუბერის მაგიერ.

ვარრენტონიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ იქ პარასკევს მთელი დღე ბრძოლა იყო.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** 19 მარტი გადახდილ იქმნა ღდესასწაული ეპისკოპოზის ვლადიმერის ოცდახუთის წლის სამსახურისა.

**კიევი.** შავი ხორბალი ღირს 60 კაპ.—63 კ., ხორბალი 81—84 კაპ, შვრია 50—61 კაპ., ფეტვი 60—63 კ., უგრეხელი 67—70 კ. და ქერი 58—63 კ., ხუთი გრადუსი სითბოა. ფოვლი სწრაფად დნება.

**ლონდონი.** გაზეთების სიტყვით, პრეტორიაში ჟუბერის დასაფლავების დროს, პრეზიდენტმა კრიუგერმა გამოაცხადა, რომ ტრანსვაალის მხედრობის მთავარსარდლად დაინიშნა გენერალი ლიუდვიგ ბოტა.

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

# გამოსადეგი ცნობანი

**საკალენდრო ცნობები**

**ორშაბათი.** 20 მარტი; ახალი სტილით 2 აპრილი წლის დასრულებამდე დარჩა 286 დღე. მთვარის მე-4 დღე. ოც-და-მეცხრე დღე. დიდი მარხვისა. ხსენება ღირსისა იოანნესი, სერგისა, პატრიკისა და სხვათა.

**ოთხშაბათი**, 22 მარტი; ახლი სტილით 3 აპრილი. წლის დასრულებამდე დარჩა 282 დღე. მთვარის მე-5 დღე. დიდი მარხვის ოც-და-მეთერთმეტე დღე. ხსენება წმ. მოწამისა ვასილ მღვდელისა და ისააკისა.

შემდეგი უქმი— 25 მარტს—ხარება.

# განცხადებანი

**მ**აქვს კარგს ალაგზედ **შეშის და ხის ნახშირის სკლადი.** ვეძებ ამხანაგს. მსურველს შეუძლია იკითხოს „სემეინი ნომრებში“, დაბლა, ალექსანდროვის ბაღის პირდა-პირ. (3—2)

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს**, რომ მის თანადასწრებით, შუადღის 12 საათზე, ამა 1900 წლის 22 მარტს, დანიშნულია ვაჭრობა, სახლის ასაშენებლად ავჭალის წყლის მილის უფროს ზედამხედველისათვის და აგრეთვე ავჭალის წყლის მილის შენობათა შესაკეთებლად სულ საქმე 5653 მან. 16 კაპ. ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან ვაჭრობის პირობანი განიხილოს გამგეობის სატეხნიკო განყოფილებაში ყოველ დღე, უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან შუადღის 3 საათამდე. ნ. 3—3

გამომც. გ. ბუნია



სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. განქის დიდი ქუჩა, № 27.